



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„22“ 07 2015 წელი

ეგზ. N2

ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის
მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში სახელმწიფო
რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის 2012 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის
1 იანვრამდე პერიოდის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

აშ-სე/აშ

შინაარსი

აუდიტის მიზანი და მასშტაბი.....	3
შესაბამისობის აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის მასშტაბი.....	3
აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა	4
დაფინანსების წყარო.....	4
მივლინება.....	5
შრომის ანაზღაურება.....	5
წარმომადგენლობითი ხარჯები	6
ტრანსპორტი და საწვავი	7
არაფინანსური აქტივები და ინვენტარიზაცია.....	13
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	15

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში ადმინისტრაციის (შემდეგში გუბერნატორის ადმინისტრაცია) 2012, 2013 და 2014 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- სხვა მარეგულირებელ ნორმებთან

აუდიტის მასშტაბი

რისკების შეფასების საფუძველზე აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა: შრომის ანაზღაურება, წარმომადგენლობითი ხარჯები, მივლინებები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, საწვავის ხარჯები, არაფინანსური აქტივების მოძრაობა.

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

გუბერნატორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ

არამართლზომიერი ქმედებით(თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ გუბერნატორის ადმინისტრაციის 2012, 2013 და 2014 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით- „ანგარიში ვრცელი ფორმით“, რაც გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

დაფინანსების წყარო

გუბერნატორის ადმინისტრაციის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად გამოყოფილი სახსრები.

მივლინება

გუბერნატორის ადმინისტრაციის 2012 წლის 27 ნოემბრის N მ/56 განკარგულებით ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი 2012 წლის 29 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე მივლინებით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ქ.ოკლაჰომა სიტი). მოწვევის დამადასტურებელი დოკუმენტის თანახმად მგზავრობის, ცხოვრებისა და დღეში სამჯერადი კვების ხარჯებს ანაზღაურებდა მომწვევი მხარე. მასზე ანაზღაურებულია სადღელამისო თანხა მთლიანი 60 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით, ნაცვლად 30%-ისა, ანუ 18 აშშ დოლარის შესაბამისი კურსისა. კერძოდ, ნაცვლად გაცემული 1193.3 ლარისა ($12 \cdot 60 \cdot 1,6573$), ანაზღაურებას ექვემდებარებოდა 358 ლარი ($12 \cdot 60 \cdot 30\% \cdot 1,6573$). ანუ ზედმეტად ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 835.3 ლარი¹.

შრომის ანაზღაურება

2012 წელს მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1048.4 ათასი ლარი. მათ შორის ძირითად და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 733.3 ათასი ლარი (70%). 2013 წელს მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 761.3 ათასი ლარი. მათ შორის ძირითად და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 625.5 ათასი ლარი (82.2%). 2014 წელს მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 776.9 ათასი ლარი. მათ შორის ძირითად და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 559.8 ათასი ლარი (72.1%).

2012- 2014 წლებში გუბერნატორის ადმინისტრაციაში პრემიის სახით სულ გაცემულია 396.4 ათასი ლარი, მათ შორის 2012 წელს 206.5 ათასი ლარი (52%). 2014 წელს დანამატის სახით გაცემულია 29.6 ათასი ლარი.

აუდიტის პერიოდში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს როდესაც ხელმძღვანელ პირებზე გაცემულია დიდი ოდენობით პრემიები. ასე მაგალითად: 2012 წლის დეკემბერში გუბერნატორზე გაცემულია 5.1 ათასი ლარი (თანამდებობრივი სარგოს 171%), მის მოადგილეებზე 2.5 ათასი ლარი (111%). 2012 წელს გუბერნატორზე პრემიის სახით საშუალოდ გაცემულია თანამდებობრივი

¹ „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N 231 ბრძანებულებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-11 პუნქტი.

სარგოს 72%, მის მოადგილეებზე 44%-52%, სამსახურის უფროსებზე 7%-დან 94%-ის ჩათვლით.

წელი	პრემია	მ.შ ხელმძღვანელობა	%
2012	206470	107700	52
2013	95550	40860	42.8
2014	94340	39990	42.4
სულ	396360	188550	47.6

წელი	დანამატი	მ.შ ხელმძღვანელობა	%
2014	29625	29625	100

წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის N 1380 განკარგულებით სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელი პირების მიერ საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა შეხვედრის ორგანიზების, სტუმრების მიღებისა და სხვა წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსების მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გუბერნატორის ადმინისტრაციას გამოეყო 12.0 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ივლისის N1467 განკარგულებით სახელმწიფო რწმუნებულებს-გუბერნატორებს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის ყოველთვიური ნორმა განესაზღვრათ 3.0 ათასი ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2012 წლის 30 აგვისტოს N295 ბრძანებით დამტკიცდა „ცალკეულ საბიუჯეტო ორგანიზაციაში საჯარო მოსამსახურის მიერ ორგანიზაციის წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“, რომლის თანახმად გუბერნატორი უფლებამოსილი იყო ქვეყნის შიგნით წარმომადგენლობითი ღონისძიების მიზნით გუბერნატორის სახელზე კომერციულ ბანკში გახსნილი მიზნობრივი ანგარიშიდან გაეწია წარმომადგენლობითი ხარჯები, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით (პლასტიკური ბარათის გამოყენებით) და ამ წესზე თანდართული ფორმის შესაბამისად საანგარიშო თვის ბოლოს ბუღალტერიაში წარედგინა თვის განმავლობაში გახარჯული თანხების შესახებ ანგარიში, რომელიც ითვალისწინებდა ღონისძიების დასახელებას და ადგილს, ჩატარების თარიღს, ხარჯის ტიპს და თანხას. აღსანიშნავია, რომ

მთავრობის N 1467 განკარგულებით, წარმომადგენლობითი ხარჯების დადგენილი წესის მოქმედება გათვალისწინებული იყო 2013 წლის 1 იანვრამდე.

გუბერნატორის ანგარიშზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან 2012 წლის 11 სექტემბერს და 15 ოქტომბერს გადარიცხულია შესაბამისად 3.0 ათასი ლარი და 2.9 ათასი ლარი, საიდანაც 2.0 ათასი ლარი გატანილია ბანკომატიდან, თუმცა ხარჯის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი(ჩეკი ან მიღება-ჩაბარების აქტი)წარმოდგენილი არ არის. ხოლო თანხა ხარჯებში ჩამოწერილია მხოლოდ გუბერნატორის მიერ წარმოდგენილი, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შევსებული ფორმის საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტებით გაუგებარია ღონისძიების გამართვის საჭიროება, არ ჩანს ვის გაეწია მომსახურება. შესაბამისად, შეუძლებელია პერსონების იდენტიფიცირება და გაწეული ხარჯის მიზნობრიობის დადგენა.

ტრანსპორტი და საწვავი

ცხრილში მოცემულია სატრანსპორტო საშუალებებისათვის წლების მიხედვით შეძენილი და ჩამოწერილი საწვავის შესახებ ინფორმაცია ათას ლარებში:

წელი	შეძენილი	გახარჯული	გახარჯულის %
2012	174,0	166,8	59
2013	54,1	63,6	22
2014	53,9	53,9	19
სულ	282,0	284,3	100

გუბერნატორის ადმინისტრაციაში სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავი გამოიყოფოდა ყოველთვიური ლიმიტების სახით, რომელიც მტკიცდებოდა გუბერნატორის განკარგულებით. სააუდიტო პერიოდში სულ გახარჯულია 284,3 ათას ლარის საწვავი, მათ შორის: 2012 წელს 166,8 ათასი ლარის, ანუ მთლიანად გახარჯული საწვავის 59%, რაც ძირითადად გამოწვეული იყო მაღალი ლიმიტების დაწესებით. კერძოდ, 2012 წელს გუბერნატორის ადმინისტრაციის ყოველთვიური ლიმიტი შეადგენდა 5550 ლიტრს, 2013 წელს: მაისამდე 3150 ლიტრს, ხოლო შემდეგ თვეებში-2900 ლიტრს. 2014 წელს ყოველთვიური ლიმიტი განსაზღვრული იყო 3500 ლიტრის ოდენობით.

2012 წლის ლიმიტები მოცემულია ცხრილის სახით.

ავტომანქანის მარკა	სახელმწიფო ნომერი	დაქვემდებარება	საწვავის სახეობა	ლიმიტი (ლიტრი)
ჰიუნდაი სონატა	PBP-282	გუბერნატორი	ბენზინი	1200
კია სპორტეიჯი	LJL-887	1 მოადგილე	ბენზინი	850
ჰიუნდაი ტუქსონი	NQN-838	მოადგილე	დიზელი	550
მერსედეს ბენცი	SLS-201	ადმინისტრაციული სამსახური	ბენზინი	600
ნივა ვაზ 21214	BHP-877	საფინანსო- სამეურნეო სამსახური	ბენზინი	650
მიცუბიში L 200	SZS-494 PHP-553 PHP-353	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	დიზელი	700
ტოიოტა ჰაილუქსი	TZT-203	სახ. ზედამხედველობის სამსახური	დიზელი	450
ოპელ ვექტრა	KAN-015	სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური	ბენზინი	550
სულ				5550

2012 წელს საწვავი შეძენილი იყო ტალონების სახით. აღნიშნულ პერიოდში გამოიკვეთა ის ტენდენცია, რომ ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი, ვისზედაც მიმაგრებული იყო სატრანსპორტო საშუალება, გამოყოფილ საწვავის ლიმიტს, როგორც წესი სრულად და ბოლომდე ითვისებდა და შესაბამისად, არ ფიქსირდება გაუხარჯავი ტალონების დაბრუნების არცერთი ფაქტი. აღსანიშნავია, რომ სააუდიტო პერიოდში ავტომობილების (ე.წ. ოდომეტრების) გავლილი მანძილის აღრიცხვა არ წარმოებდა(გავლილი მანძილების აღრიცხვა დაიწყო 2015 წლის იანვრიდან). გაცემული საწვავის ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის პირობებში, ხარჯად აღიარება ხდებოდა საწვავის განაწილების უწყისით გაცემული ოდენობის მიხედვით.

„ჰიუნდაი სონატა“ სახ. ნომრით PBP-282 (გამოშვების წელი 2011) გუბერნატორის ადმინისტრაციას სარგებლობის უფლებით გადაეცა 2011 წლის 6

სექტემბერს, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 30 აგვისტოს N1-053 ბრძანების საფუძველზე.

2011 წლის განმავლობაში(ავტომანქანის გადმოცემის შემდეგ) „ჰიუნდაი სონატა“-ზე ფაქტიურად გაწულია 4800 ლიტრი საწვავის ხარჯი(ტალონებით), 2012 წელს 14400 ლიტრი საწვავის ხარჯი(ტალონებით), 2013 წელს 5397 ლიტრი საწვავის ხარჯი(მათ შორის ტალონით 1640 ლიტრი საწვავი), ხოლო 2014 წელს 3914 ლიტრის ხარჯი, ანუ გადმოცემის მომენტიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ავტომანქანაზე სულ გაწეული საწვავის ხარჯი შეადგენს 28511 ლიტრს, აქედან ტალონების სახით გაცემული იყო 20840 ლიტრი საწვავი, ხოლო ბარათით 7671 ლიტრი.

ვინაიდან სააუდიტო პერიოდში, ავტომობილების (ე.წ. ოდომეტრების) გავლილი მანძილის აღრიცხვა არ წარმოებდა, აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთვლილი იქნა გასავლელი მანძილი, ფაქტიურად მოხმარებული საწვავის ოდენობაზე დაყრდნობით, ტექნიკური პასპორტის მონაცემების გათვალისწინებით და მაქსიმალური წვის კოეფიციენტით ($10,5\text{ლ} \times 100\text{კმ}$ -ზე, მხოლოდ ქალაქში გადაადგილების შემთხვევაში მაქსიმალური ხარჯი) დაანგარიშებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ჰიუნდაი სონატა“-ს მინიმალური გარბენი 2015 წლის 1 იანვრისთვის უნდა ყოფილიყო $28511 \times 100 / 10,5 = 271533$ კილომეტრი. თუმცა, 2015 წლის 1 იანვრისათვის ხსენებული სატრანსპორტო საშუალების გარბენი(ოდომეტრის მაჩვენებელი) შეადგენდა 106088 კილომეტრს. ანუ ოდომეტრის ჩვენების თანახმად, ავტომობილის გარბენმა ფაქტობრივად გაწეული საწვავის ხარჯთან მიმართებაში მინიმუმ 165445 ათასი კილომეტრით ნაკლები შეადგინა,

აღსანიშნავია, რომ საბარათე სისტემით ჩასხმული საწვავით, სატრანსპორტო საშუალების მინიმალური გარბენი უნდა ყოფილიყო $7671 \times 100 / 10,5 = 73057$ კილომეტრი, ხოლო ოდომეტრით ნაჩვენები დარჩენილი $106088 - 73057 = 33031$ კილომეტრის გავლას დაჭირდებოდა $33031 \times 10,5 / 100 = 3468$ ლიტრი საწვავი, ნაცვლად ჩამოწერილი 20840 ლიტრი საწვავისა. ამდენად, მინიმუმ 17372 ლიტრი საწვავი ჩამოწერილია ზედმეტად.

ანალოგიურად, ავტომანქანა „ვაზ 21214“ სახელმწიფო ნომრით BHP-877 (გადმოცემულია 2010 წლის 15 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან), 2011 წლიდან 2015 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში ჩამოწერილი საწვავის ოდენობა შეადგენს 24439 ლიტრს, აქედან ტალონების სახით გაცემული იყო 14850 ლიტრი საწვავი, ხოლო ბარათით 9589 ლიტრი. სატრანსპორტო საშუალება 2011- 2012 წლებში მიმაგრებული იყო სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსზე, რომელსაც აღნიშნულ

პერიოდში საწვავის განაწილების უწყისების თანახმად მიღებული აქვს 12200 ლიტრი საწვავის ტალონები. აღნიშნული ავტომანქანა 2013 წელს დაქვემდებარებული იყო სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსზე, ხოლო 2014 წელს აპარატის უფროსზე.

ვინაიდან სააუდიტო პერიოდში, ავტომობილების (ე.წ. ოდომეტრების) გავლილი მანძილის აღრიცხვა არ წარმოებდა, აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთვლილი იქნა გასავლელი მანძილი, ფაქტიურად მოხმარებული საწვავის ოდენობაზე დაყრდნობით, ტექნიკური პასპორტის მონაცემების გათვალისწინებით და მაქსიმალური წვის კოეფიციენტით ($13\text{ლ}\times 100\text{კმ-ზე}$, მხოლოდ ქალაქში გადაადგილების შემთხვევაში მაქსიმალური ხარჯი) დაანგარიშებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ავტომანქანის მინიმალური გარბენი 2015 წლის 1 იანვრისთვის უნდა ყოფილიყო $24439 \times 100 / 13 = 187992$ კილომეტრი. თუმცა, 2015 წლის 1 იანვრისათვის ხსენებული სატრანსპორტო საშუალების გარბენი (ოდომეტრის მაჩვენებელი) შეადგენდა 100256 კილომეტრს. ანუ ოდომეტრის ჩვენების თანახმად, ავტომობილის გარბენმა ფაქტობრივად გაწეული საწვავის ხარჯთან მიმართებაში მინიმუმ 87736 ათასი კილომეტრით ნაკლები შეადგინა,

საბარათე სისტემით ჩასხმული საწვავით, სატრანსპორტო საშუალების მინიმალური გარბენი უნდა ყოფილიყო $9589 \times 100 / 13 = 73761$ კილომეტრი, ხოლო ოდომეტრით ნაჩვენები დარჩენილი $100256 - 73761 = 26495$ კილომეტრის გავლას დაჭირდებოდა $26495 \times 13 / 100 = 3444$ ლიტრი საწვავი, ნაცვლად ჩამოწერილი 14850 ლიტრი საწვავისა. ამდენად, მინიმუმ 11406 ლიტრი საწვავი ჩამოწერილია ზედმეტად. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტომანქანა გამოშვებულია 2007 წელს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადმოცემამდე (15.09.2010 წელი) მას ექნებოდა გავლილი გარკვეული მანძილი, რაც მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული არ არის. ამის გათვალისწინებით ზედმეტად ჩამოწერილი საწვავის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

ავტომანქანა „ოპელ ვექტრა“სახ. ნომერით KAN-015, 2012 წელს მიმაგრებული იყო სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურზე (გუბერნატორის 2012 წლის 3 იანვრის N1 განკარგულება), სატრანსპორტო საშუალებისათვის ყოველთვიური ლიმიტი განსაზღვრული იყო 550 ლიტრის ოდენობით. ლიმიტირებული საწვავის განაწილების უწყისების თანახმად, ყოველთვიურად 550 ლიტრი საწვავის ტალონის მიღებაზე ხელს აწერდა აღნიშნული სამსახურის უფროსი, რამაც 2012 წელს სულ შეადგინა 6600 ლიტრი (ბენზინი).

აუდიტის მიმდინარეობისას, აღნიშნულმა პიროვნებამ, აუდიტის ჯგუფის სიტყვიერი შეკითხვის პასუხად, 2015 წლის 17 ივნისის წერილობით განმარტებაში

აღნიშნა, რომ, ის არ სარგებლობდა სამსახურებრივი ავტომანქანით. ბენზინი ეძლეოდა უწყისით, თუმცა ტალონების გამოყენება და ბენზინის ხარჯვა არ განუხორციელებია, ხოლო თუ ვინ გამოიყენა საწვავის ტალონები, მას ამის შესახებ პასუხი არ აქვს. ამდენად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება ხარჯებში ჩამოწერილი 6600 ლიტრი საწვავის ხარჯვის მიზნობრიობაზე.

ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“ (სახ. ნომერი SLS-201) 2012 წლის 9 თებერვალს თხოვნის ხელშეკრულებით გადმოცემული იყო ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტიდან. აღნიშნული ავტომანქანა გუბერნატორის 2012 წლის 9 თებერვლის განკარგულებით მიმაგრებული იყო ადმინისტრაციულ სამსახურზე და გამოყოფილი იყო ყოველთვიური ლიმიტის სახით 600 ლიტრი საწვავი. საწვავის განაწილების უწყისების თანახმად, საწვავის მიღებაზე ხელს აწერდა აღნიშნული სამსახურის მთავარი სპეციალისტი, რომელზეც 2012 წელს გაცემულია სულ 6400 ლიტრი ბენზინი. აღვნიშნავთ, რომ სატრანსპორტო საშუალებაზე 2013-2014 წლებში საწვავის ხარჯი არ გაწეულა. 2014 წლის 10 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად ავტომანქანა, რომელიც 2013 წლიდან გაუმართავ მდგომარეობაში იმყოფებოდა ქ. რუსთავის მერიის ეზოში, დაბრუნებულია რუსთავის მუნიციპალიტეტზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ავტომანქანის დაზიანების კონკრეტული დროისა და მიზეზის ამსახველი დოკუმენტი წარმოდგენილი ვერ იქნა, ხოლო პიროვნება, ვისზედაც გაიცემოდა საწვავის ტალონები 2014 წლის 24 იანვრიდან (24.01.2014 წლის N04 განკარგულება) აღარ მუშაობს გუბერნატორის ადმინისტრაციაში, რის გამოც ვერ მოხერხდა მისგან შესაბამისი განმარტების მიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“ (სახ. ნომერი SLS-201) 2012 წელს ჩამოწერილი 6400 ლიტრი საწვავის რეალობასთან დაკავშირებით.

გარდა ლიმიტირებული საწვავისა, გუბერნატორის განკარგულებების საფუძველზე, 2012 წლის სექტემბრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, სამსახურის უფროსებზე და სპეციალისტებზე ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში მივლინებისას სხვადასხვა სამსახურებრივ ავტომანქანებზე დამატებით გახარჯულია 9000 ლიტრი საწვავი(ტალონებით). მათ შორის: 3500 ლიტრი საწვავის ტალონი გაცემულია საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსზე, ხოლო 1500 ლიტრი ამავე სამსახურის უფროს სპეციალისტზე; 700 ლიტრი სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსზე, ხოლო 850 ლიტრი ამავე სამსახურის მთავარ სპეციალისტზე; 950 ლიტრი სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსზე; 800 ლიტრი ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარ სპეციალისტზე, ხოლო 500 ლიტრი ამავე სამსახურის უფროს

სპეციალისტზე; 200 ლიტრი ადმინისტრაციული სამსახურის უფროსზე. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსს სექტემბერში ლიმიტირებული და სამივლინებო საწვავის ჩათვლით გახარჯული აქვს 1650 ლიტრი საწვავი, ოქტომბერში 2350 ლიტრი, ნოემბერში 950 ლიტრი, დეკემბერში 1150 ლიტრი საწვავი. აუდიტით დადგინდა, რომ არცერთ მივლინების განკარგულებაში მითითებული არ არის მივლინების მიზანი, ასევე არ ხდებოდა შესაბამისი ანგარიშების წარმოდგენა მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ. ამასთან, სხვა წლებში(2011, 2013,2014) ქვეყნის შიგნით მივლინებისათვის საწვავის ხარჯი არ გაწეულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება გახარჯულად ნაჩვენები 9000 ლიტრი საწვავის მიზნობრიობის შესახებ.

ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლები შვებულებაში ყოფნის პერიოდში სარგებლობდნენ სამსახურებრივი ავტომანქანებით და შესაბამისად ლიმიტირებული საწვავით, კერძოდ:

- საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი 2012 წლის 27 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით იმყოფებოდა შვებულებაში². მასზე გაცემულია საწვავის მთლიანი ლიმიტი 650 ლიტრი;

- გუბერნატორის პირველი მოადგილე 2012 წლის 15 აგვისტოდან გათავისუფლდა თანამდებობიდან³, ხოლო დაბრუნების შემდეგ 2013 წლის 9 იანვრიდან 25 იანვრამდე იმყოფებოდა შვებულებაში⁴. მასზე ორივე შემთხვევაში გაცემულია მთლიანი ლიმიტირებული საწვავი, შესაბამისად 850 და 500 ლიტრის ოდენობით;

- გუბერნატორი 2012 წლის 1 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, 2013 წელს 8 იანვრიდან 24 იანვრის, 14 მაისიდან 29 მაისის და 26 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით (ანაზღაურების გარეშე) იმყოფებოდა შვებულებაში⁵. მასზე 2012 წლის 4 სექტემბერს და 2013 წლის 3 იანვარს გაცემულია მთლიანი ლიმიტირებული საწვავი, შესაბამისად 1200 და 900 ლიტრის ოდენობით (გუბერნატორის საწვავის ტალონის მიღების უწყისებს ხელს აწერდა საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი), ხოლო 14 მაისიდან 30 მაისამდე ჩასხმული აქვს(ბარათის მიხედვით) 243 ლიტრი საწვავი და 26 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე 140 ლიტრი საწვავი;

² გუბერნატორის 25.06.2012წ N3/14 განკარგულება

³ გუბერნატორის 15.08.2012წ N3/26 განკარგულება

⁴ გუბერნატორის 04.01.2013წ N3/2 განკარგულება

⁵ გუბერნატორის 31.08.2012წ N3/37; 04.01.2013წ N3/3; 21.01.2013წ N3/6; 13.05.2013წ N3/14; 16.08.2013წ N3/28 განკარგულებები

- ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი 2012 წლის 27 აგვისტოდან 26 სექტემბრამდე იმყოფებოდა შვებულებაში⁶. 4 სექტემბერს მასზე გაცემულია მთლიანი ლიმიტირებული საწვავი 600 ლიტრის ოდენობით;
- სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე იმყოფებოდა შვებულებაში⁷. ბარათის მიხედვით ჩასხმულია 250 ლიტრი საწვავი;
- გუბერნატორის პირველ მოადგილეს 2014 წლის 23 ივლისიდან 11 აგვისტომდე შვებულებაში⁸ ყოფნის პერიოდში ჩასხმული აქვს 161 ლიტრი საწვავი;
- 2014 წლის 6 მაისიდან 24 მაისამდე შვებულებაში⁹ ყოფნის პერიოდში რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსს ჩასხმული აქვს 250 ლიტრი საწვავი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად, მოსამსახურე მოვალეა შვებულებაში გასვლამდე, აგრეთვე თანამდებობიდან გათავისუფლებამდე სამსახურთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი ქონების დასაბრუნებლად მიმართოს ამისთვის დანიშნულ პირს, რომელიც ვალდებულია ჩაიბაროს საქმისწარმოება და ქონება, რაც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში არ განხორციელებულა.

არაფინანსური აქტივები და ინვენტარიზაცია

სააუდიტო პერიოდში არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვისათვის არ იყო გახსნილი საინვენტარო ბარათები თითოეული საინვენტარო ნომრისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიხედვით. ასევე, ასეთ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ გაფორმებულა შესაბამისი ხელშეკრულებები სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე, რაც შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების მოთხოვნებთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2010 წლის 13 ოქტომბრის N873 ბრძანებით გუბერნატორის ადმინისტრაციაზე გადაცემული იყო 5 ერთეული „ვაზ 21214“ მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლებიც სახელმწიფო

⁶ გუბერნატორის 27.08.2012წ N3/32 განკარგულება

⁷ გუბერნატორის 24.09.2013წ N3/33 განკარგულება

⁸ გუბერნატორის 22.07.2014წ N3/131 და 11.08.2014წ N145 განკარგულებები

⁹ გუბერნატორის 06.05.2014წ N3/94 განკარგულება

რწმუნებულის-გუბერნატორის 2010 წლის 18 ოქტომბრის N24 განკარგულების თანახმად აყვანილი იქნა ბალანსზე, ხოლო გუბერნატორის იმავე დღის N 25 განკარგულებით სამი ავტომანქანა გადაეცა თვითმმართველ ქალაქ რუსთავს, ერთი კი მარნეულის მუნიციპალიტეტს სარგებლობაში მათი არსებობის ვადით (18-19 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტები). მიუხედავად ამისა, აღნიშნული 4 ავტომანქანა 2013 წლამდე არ იყო მოხსნილი და ირიცხებოდა გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 მაისის N378 განკარგულებით სტიქიური მოვლენების, კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათი უარყოფითი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა ხელშეწყობის მიზნით გუბერნატორის ადმინისტრაციას გადაეცა ბულდოზერი KAMATSU D65EX-15BO და გრეიდერი ნობასი BG 160 TA-4 HBM . გარდა ამისა, 2012 წლის 26 მარტს მარნეულის მუნიციპალიტეტიდან თხოვნის ხელშეკრულებით გადაცემულია 3 ერთეული კვადროციკლი (დაბრუნებულია 2014 წლის 30 დეკემბერს). სააუდიტო პერიოდში ბულდოზერზე და გრეიდერზე არანაირი ხარჯი გაწეული არ არის. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი მათი გამოყენების შესახებ რაიმე ინფორმაცია, გარდა ორი შემთხვევისა. კერძოდ, გუბერნატორის 2012 წლის 17 აპრილის N8 განკარგულებით გრეიდერი დროებით სარგებლობაში სამი თვის ვადით გადაეცა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს, ხოლო ბულდოზერი 2014 წლის 4 ნოემბრის N 52 განკარგულებით ერთი თვის ვადით სსიპ „ეროვნულ სატყეო სააგენტოს“. რაც შეეხება კვადროციკლებს, გაურკვეველია მათი გადმოცემის მიზანი და საჭიროება, ვინაიდან გუბერნატორის ადმინისტრაციაში მათი გადმოცემის დღიდან რაიმე ხარჯი გაწეული არ ყოფილა(საწვავი, მიმდინარე შეკეთება ან სხვა).

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის 2012 წლის 30 ნოემბრის N 24, 2013 წლის 16 დეკემბრის N18 და 2014 წლის 13 ნოემბრის N 53 განკარგულებებით შექმნილ საინვენტარიზაციო კომისიას დაევალა ბალანსზე რიცხული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. წარმოდგენილი საინვენტარიზაციო აღწერების თანახმად ჩატარებულია მხოლოდ ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. არ მომხდარა ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების, მარაგების ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის მასალებში დაფიქსირებულია 2010 წლის 18-19 ოქტომბერს მუნიციპალიტეტებზე(რუსთავი და მარნეული) გადაცემული 4 ავტომანქანა. რაც მიუთითებს იმაზე, რომ გუბერნატორის ადმინისტრაციას სათანადო კონტროლი არ ჰქონდა დაწესებული აქტივების მოძრაობაზე და ინვენტარიზაცია ატარებდა ფიქტიურ ხასიათს.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

გუბერნატორის ადმინისტრაციაში ხელშეკრულებების საფუძველზე სააუდიტო პერიოდში მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში (სხვადასხვა თვეებში) 2012-2013 წლებში ჯამში დასაქმებული იყო 5- 5 შტატგარეშე , ხოლო 2014 წელს 3 შტატგარეშე მომუშავე და მათზე ანაზღაურებულია შესაბამისად 33,5-34,3 ათასი, ხოლო 2014 წელს 21,1 ათასი ლარი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით ირკვევა, რომ შტატგარეშე მომუშავეები 2012-2013 წლებში აყვანილი იყო 11-12 თვის განმავლობაში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ასრულებდნენ ერთი და იგივე სამუშაოს. ადმინისტრაციის აპარატის უფროსის სიტყვიერი განმარტებით ხელშეკრულებების მიხედვით მათ ფუნქციებში შედიოდა გუბერნატორის ადმინისტრაციაში დებულებით გათვალისწინებულ ამოცანათა შესრულება, რაც შტატით მომუშავე თანამშრომლების მოვალეობაა.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის მიერ არ არის შემუშავებული სამუშაოს აღწერის დოკუმენტები, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ პოზიციასთან დაკავშირებულ ფუნქცია-მოვალეობებს, კომპეტენციებს, პასუხისმგებლობებს, ანგარიშვალდებულებებს და სხვა ინფორმაციას.


უფროსი აუდიტორი

თენგიზ გურასაშვილი

 22.07.2015წ

აუდიტორი

ბესიკ ფერაძე

 22.07.2015წ